



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მდადე

მდადე, მდადი, პატარძლის მაყარი ქალის ქორწილში, „დიაცი სძლის მაყარი“ (საბა). მ-ს ირჩევდნენ ნათესავთა და ახლო მეგობართა წრიდან. ევალებოდა საქორწილო რიტუალის განმავლობაში პატარძალთან ყოფნა და მისი უშუალო მფარველობა.

ჯვრის წერისას მ. პატარძალს უკან მიჰყვებოდა და მისი კაბის აკეცილი ბოლოები ხელში ეჭირა, საქორწილო სუფრაზე კი, როგორც წესი, პატარძლის გვერდით იჭდა. ზოგან მის ფუნქციაში შედიოდა ქორწილის ღამეს ნეფე-დედოფლისათვის ლოგინის გაშლა, დილით კი – ალაგება. მ. დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც ქალის, ისე ვაჟის ოჯახში.

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977;
მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1987.